განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე

შპს „ინვესტმენტ კონსალტინგ გრუპ" დაფუძნებულია „მეწარმეთა შესახებ" კანონის შესაბამისად და რეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრში 2015 წლის 10 სექტემბერს.

იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ნაძალადევის რაიონი, თემქა, IV კვარტალი, კორპუსი №1, ბ.13

საიდენტიფიკაციო კოდი: 400152632

-საზოგადოების ძირითად საქმიანობას წარმოადგენს:

- ბიტუმის იმპორტი და რეალიზაცია.

– სხვა საქმიანობა, რაც მოქმედი კანონმდებლობით არ არის აკრძალული.

- ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების სწორ ორგანიზებას უზრუნველყოფს საწარმოს დირექტორი.

ბუღალტრული აღრიცხვის შერჩეული ფორმა და მეთოდები

-ბუღალტრული სინთეზური აღრიცხვა – ელექტრონული ფორმა.

-საწარმო იყენებს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებითა და საქართველოს კანონი "ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის" შესაბამისად მოქმედი ანგარიშთა გეგმას. ძირითად საბალანსო ანგარიშებს შესაძლებელია დაემატოს საჭიროებისამებრ ქვე-ანგარიშები.

ფინანსური ანგარიში შედგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში. კომპანიის საანგარიშო პერიოდი მოიცავს 1 წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე.

ნაღდი ფული და მისი ექვივალენტები

მოგახსენებთ, რომ კომპანიის ძირითადი საქმიანობას წარმოადგენს საგზაო ბიტუმის იმპორტს ირანის ისლამური რესპუბლიკიდან. გამომდინარე საბანკო რეგულაციებიდან ირანში საბანკო გადარიცხვები საქართველოდან ვერ ხერხდება ამიტომ ირანიდან საქონლის მომწოდებლებთან ანგარიშსწორება წარმოებს ანგარიშვალდებული პირის მიერ ნაღდი ანგარისწორებით.

ძირითადი საშუალებების აღრიცხვა:

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მცირდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხებით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. ღირებულება მოიცავს პირდაპირ ხარჯებს, მწყობრში მოყვანისა და მონტაჟის ხარჯებს, ასევე პროფესიონალური მომსახურებისა და სესხებთან დაკავშირებულ ხარჯებს რომელიც კაპიტალიზირდება კომპანიის პოლიტიკის შესაბამისად. მოგება, ან ზარალი, რომელიც წარმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

– ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი საშუალებები აღირიცხება ნარჩენი ღირებულებით;

– ძირითადი საშუალებების ცვეთადი ღირებულება განისაზღვრება მათი პირვანდელი ღირებულებიდან სალიკვიდაციო ღირებულების გამოკლებით. ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით შემდეგნაირად;

- სატრანსპორტო საშუალებები – 6 წელი.
- შენობა-ნაგებობა – 6 წელი
- ოფისის აღწურვილობა – 6 წელი

საწარმო ძირითადი საშუალებების გადაფასებას ახდენს ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვიდან.

ძირითადი საშუალებების სალიკვიდაციო ღირებულება, სასარგებლო მომსახურების თანხა გადაიხედება ყოველწლიურად. ძირითადი საშუალებების ჩამოწერა ხდება მისი გაყიდვისას ან მაშინ როცა მოსალოდნელი არ არის მისგან ეკონომიური სარგებლის მიღება.

არამატერიალური აქტივების აღრიცხვა

– არამატერიალურ აქტივი საწარმოს არ გააჩნია.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა

მარაგი ისეთი აქტივებია, რომლებიც გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში ან წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომლებიც განკუთვნილია საწარმოო მოხმარებისთვის ან მომსახურების გასაწევად. ელემენტები, როგორიცაა მანქანა-დანადგარების სათადარიგო ნაწილები, აგრეთვე აღიარდება სასაქონლო მატერიალურ მარაგად, მანამ სანამ, არ დააკმაყოფილებს ძირითადი საშუალების განმარტებას. სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასააყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან, ადგილზე მიტანასთან, გადამუშავებასთან და მის იმ მდგომარეობამდე მიყვანასთან როგორშიც ის იმყოფება.

ცალკეული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა:

– მოხმარებისათვის განკუთვნილი სამეურნეო და საკანცელარიო დანიშნულების საქონელი მარაგებში არ აისახება და შესყიდვისთანავე მიეკუთვნება საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებს;

– 50 ლარამდე ღირებულების ინვენტარი და ნივთები (კალკულატორი, ტელეფონის აპარატი, ასაკინძი მოწყობილობები და სხვა) მარაგებში არ აისახება და ექსპლუატაციაში გადაცემისთანავე მიეკუთვნება საოფისე ხარჯებს;

– კომპიუტერული ტექნიკის ექსპლუატაციისათვის აუცილებელი ნივთები და მასალები (კატრიჯი, დისკები, ეკრანის გასაწმენდი სითხე და სხვა) მარაგებში არ აისახება და შესყიდვისთანავე მიეკუთვნება კომპიუტერის ხარჯებს;

მოთხოვნების აღრიცხვა

– ასეთი ტიპის აქტივები წარმოიშობა მომხმარებელთათვის საქონლის მიწოდებისა და მომსახურების გაწევისას.

ვალდებულებების აღრიცხვა

– ვალდებულებები წარმოიშვება საქონლისა და მომსახურების მომწოდებლების მიმართ, როგორც რეზიდენტი პირების, ასევე უცხოური კომპანიების მიმართ, რომლებიც წარმოადგენენ ძირითად მომწოდებლებს.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნებისათვის, საანგარიშგებო ვალუტისაგან (ლარი) განსხვავებულ, უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში

არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლო კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ოპერაციის განხორციელების დღის კურსით), გარდა რეალური ღირებულებით წარდგენილი არაფულადი მუხლებისა, რომლებიც ლარში გადაყვანილია მათი რეალური ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით. საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშზე.

საკუთარი კაპიტალის აღრიცხვა

– საწარმოს კაპიტალი განსაზღვრულია წესდებით.

– კაპიტალის მოცულობისა და პარტნიორთა წილების ცვლილებები რეგისტრირდება „მეწარმეთა შესახებ“ კანონით განსაზღვრული წესით.

ფინანსური ინსტრუმენტი

ფინანსური ინსტრუმენტი აღიარდება, მას შემდეგ, რაც კომპანია ხდება ფინანსური ინსტუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე. ფინანსური აქტივების აღიარება წყდება, როდესაც ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი ნაკადების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებულ რისკს დასარგებელს. ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება, როდესაც ის შესრულდება, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა. ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღირიცხება რეალურ ღირებულებას დამატებული გარიგების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯებით გარდა იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით.

- მოთხოვნები

მიმდინარე სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით.

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი წარმოიშვება, როდესაც არსებობს ობიექტური მოსაზრება, რომ კომპანია ვერ მოახერხებს მოთხოვნების მიღებას საწყისი პირობების მიხედვით. დებიტორის მნიშვნელოვანი ფინანსური პრობლემები, მისი გაკოტრება ან მისი მხრიდან გადახდების პრაქტიკის მნიშვნელოვანი გაუარესება არის მნიშვნელოვანი ინდიკატორი იმისა, რომ მოთხოვნა გაუფასურებულია. გაუფასურების

ოდენობა განისაზღვრება აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მომავალი მოსალოდნელი ფულადი ნაკადების ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებულ მიმდინარე ღირებულებას შორის სხვაობით.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება რეალური

შემოსავლების აღრიცხვა

– შემოსავლები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით;

– მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ამონაგები ბალანსის შედგენის თარიღისათვის აღიარდება ხელშეკრულების შესრულების სტადიის შესაბამისად, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების შედეგების საიმედო შეფასება.

ხარჯების აღრიცხვა

– ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით;

– ხარჯების აღრიცხვის შინაარსი – ფუნქციური დანიშნულებით.

ხარჯებისა და შემოსავლების აღრიცხვა საგადასახადო მიზნისათვის

საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი მოგების გადასახადით დასაბეგრი განაწილებული მოგება, გაწეული ხარჯები ან სხვა გადახდები/განაცემები, რომლებიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის, უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა, ასევე სსკ-ით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები აღირიცხება გამიჯნულად ამ მიზნისათვის გახსნილ სუბანგარიშებზე.

მოგება-ზარალი:

წმინდა მოგება ნაწილდება და გამოიყენება:

– დივიდენდების გასაცემად;

– საწარმოს რეინვესტირებისათვის;

– სხვა დანიშნულებით, პარტნიორთა გადაწყვეტილების საფუძველზე.

-მოგების განაწილება და დაბეგვრა ხდება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 98-ე მუხლის საფუძველზე.

მოგების გადასახადი:

მოგების გადასახადი:

– მოგების გადასახადი იანგარიშება დაბეგვრის ახალი მოდელის, კერძოდ ე.წ. ესტონური მოდელის შესაბამისად.

.

შპს "ინვესტმენტ კონსალტინგ გრუპის" დირექტორი

ჰამიდრეზა თარი

ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა	31.12.2022	31/12/2021	31/12/2020
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	350957	269424	279860
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1235846	618898	522738
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები		0	0
მარაგები	58522	2000	2109
მზა პროდუქცია		0	0
სხვა	0	0	0
საინვესტიციო ქონება		0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები		0	115133
ბიოლოგიური აქტივები		0	0
თვითღირებულების მოდელით		0	0
გადაფასების მოდელით		0	0
გუდვილი		0	0
სხვა არამატერიალური აქტივები		0	0
ძირითადი საშუალებები	510903	586338	662240
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში		0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში		0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები		0	0
სულ აქტივები	2156228	1476660	1582080
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება		0	0
სავაჭრო ვალდებულებები	178972	5750	0
ანარიცხები		0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		0	0
საგადასახადო ვალდებულებები	1503	6879	522
გამოუმუშავებელი შემოსავალი		0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები		0	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	812891	700806	919412
მიღებული გრანტები		0	0
სხვა ვალდებულებები	16527	10322	4087
სულ ვალდებულებები	1009893	723757	924021
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')		0	0
საემისიო შემოსავალი		0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები		0	0

გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	1146335	752903	658059
გადაფასების რეზერვი		0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები		0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	1146335	752903	658059
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	2156228	1476660	1582080
სულ მოკლევადიანი აქტივები	1645325	890322	919840
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	197002	22951	4609

ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა	31.12.2022	31.12.2021	31.12.2020
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	53807	271341	267010
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	0	0
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	10731	-280799	133264
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	64538	-9458	400274
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	16994	-978	-134115
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	269424	279860	13701
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	350956	269424	279860

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	**31.12.2022**	**31/12/2021**	**31/12/2020**
ნეტო ამონაგები	10544894	8768123	9066988
საქონლის გაყიდვიდან	10544894	8768123	9066988
მომსახურების გაწევიდან		0	0
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		0	0
სხვა		0	0
გაყიდვების თვითღირებულება	-9735091	-8325550	-8649366
საწყისი მარაგები		0	0
მარაგების შესყიდვა		0	0
გადამუშავების დანახარჯები		0	0
საბოლოო მარაგები		0	0
საერთო მოგება	809803	442573	417622
სხვა საოპერაციო შემოსავალი		0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	-158236	-158985	-143760
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-75434	-75902	-75580
საპროცენტო შემოსავალი		0	0
საპროცენტო ხარჯი	-91853	-87825	-44760
იჯარის ხარჯი	-11600	-10500	-3000
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-81436	-37125	-36056
სულ საოპერაციო ხარჯები	-418559	-370337	-303156
საოპერაციო მოგება	391244	72236	114466
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:			
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან		0	0
მიღებული დივიდენდები		0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	14052	22608	-216751
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	405296	94844	-102285
მოგების გადასახადის ხარჯი	-1764	0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	403532	94844	-102285
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი		0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრა		0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:		0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	403532	94844	-102285
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	752903	658059	854004
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')		0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-10000	0	-49916

სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები		0	-43744
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1146435	752903	658059